ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N91

ქ. თბილისი

7 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "სანისერვის7"** წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ გოგიას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ვიტრაჟების წმენდის მომსახურების შესყიდვა. (CPV კოდი: 90911300)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 100 (ასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების კოორდინატორი - მაია კუჭაშვილი.
4.2. მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. №16.
5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.3. მიაწოდოს წინასწარ შეთანხმებული ხარისხის შესყიდვის ობიექტი და სრულიად იყოს პასუხისმგებელი მასზე.
6.4. შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;
6.5. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტს, ან მის ხარისხს აღმოაჩნდა ფარული ნაკლი და აღნიშნული ცნობილი გახდა შემსყიდველისათვის მიწოდების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უმოკლეს ვადებში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი ან აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი შემსყიდველს.
6.6. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.
6.7. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს“.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

“მიმწოდებელი“
შპს ,,სანისერვის7 “
მის: ქ. თბილისი, დოესის ქ. #48
ს/კ 206282761
ბანკი: სს „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა GE67BS0000000013736873

დირექტორი
თენგიზ გოგია